საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე - კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ს. კ. /სიითი №8353/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.09.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №119/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2019 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ს. კ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ი. კ.-ის /სიითი №2017/ წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრა და მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში ის იცავს ბრალდებული პირის ინტერესებს, ხოლო ი. კ. წარმოადგენს დაზარალებულად ცნობილ პირებს. 2019 წლის 01 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ი. კ. მის მიმართ პროცესის განმავლობაში იყენებდა შეურაცხმყოფელ ფრაზებს და მიმართავდა პატივისა და ღირსების შემლახველი სიტყვებით. კერძოდ, სასამართლოს სხდომის ჩანაწერის მიხედვით 12:51:55-დან 12:51:58-მდე ადვოკატმა ი. კ.-მ მის მიმართ გამოიყენა შორისდებული: „ოჰოჰოჰო“; 12:52:04-დან 12:52:07-მდე კი მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის საწინააღმდეგოდ იქცევით“.

1.3 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ სისხლის სამართლის პროცესს, სადაც ი. კ.-ს მიერ გაკეთდა სადავო განცხადებები, არ ესწრებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი. თუმცა, მოგვიანებით კლიენტთან შევხედრის დროს ადვოკატმა ს. კ.-მ აცნობა მას სხდომაზე ი. კ.-ის მიერ გაჟღერებული ფრაზები.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ი. კ.-ს მიერ ადვოკატ ს. კ.-ს მიმართ გამოთქმული არაკოლეგიალური და შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო საფრთხე შეექმნა მის რეპუტაციას. მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა, ნ. ა.-მ, დაკარგა ავდოკატის მიმართ ნდობა, ვინაიდან ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის კვალიფიკაციას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. კ.-მ 2019 წლის 10 ოქტომბერს წარმოადგინა განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზია უსაფუძვლოა, მას არ მიუყენებია შეურაცხყოფა საჩივრის ავტორისათვის და შესაბამისად, არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კოლეგიალობის ვალდებულება ადვოკატ ს. კ.-ს მიმართ.

2.2 ადვოკატ ი. კ.-ს განმარტებით, ადვოკატი ს. კ. ბრალდებულის ნათესავებთან ერთად არაერთხელ იყო მისული დაზარალებულის სახლში. ადვოკატმა ი. კ.-მ გამომძიებლის დახმარებით გადასცა ინფორმაცია საჩივრის ავტორს, რომ აღარ მისულიყო დაზარალებულთან და თუ რაიმე კითხვა ექნებოდა თავად მისთვის მიემართა. აღნიშნული ფაქტი გახდა ადვოკატ ს. კ.-ს განაწყენების მიზეზი, რის გამოც საჩივრით მომართა ეთიკის კომისიას.

2.3 ადვოკატ ი. კ.-ის განმარტებით, ის პატივს სცემს პროფესიას, მის კოლეგებს და 15 წლიანი საადვოკატო საქმიანობის განმავლობაში არასოდეს დაურღვევია კოლეგიალობის პრონციპი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №2017/. სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ადვოკატმა ს. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 24 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წლის 01 აგვისტოს. შესაბამისად, არ არის გასული მის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისათვის მომართვამდე დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ი. კ.-მ 2019 წლის 01 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე მის მიმართ

გამოიყენა შეურაცხმყოფელი ფრაზები და პატივისა და ღირსების შემლახველი სიტყვები. კერძოდ, შორისდებულები „ოჰოჰოჰო“ და წინადადება - „თქვენ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის საწინააღმდეგოდ იქცევით“.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ი. კ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“;
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.3 ადვოკატი მუდმივად უნდა ზრუნავდეს შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატის მიერ, საადვოკატო საქმიანობის დროს წარმოთქმული სიტყვები თუ დაწერილი ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატთა შესახებ კანონსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში მოცემულ ნორმებს. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას.

5.4 მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატების, როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალების როლი მოიცავს მთელ რიგ მოვალეობებს, განსაკუთრებით მათი ქცევის მხრივ (იხ. *Van der Mussele v. Belgium*, 23 November 1983; *Casado Coca v. Spain*, 24 February 1994, § 46; *Steur v. the Netherlands*, no. 39657/98, § 38; *Veraart v. the Netherlands*, no. 10807/04, § 51, 30 November 2006; and *Coutant v. France* (dec.), no. 17155/03, 24 January 2008). დამცველების პროფესიული ქცევა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს - მათ მოეთხოვებათ თავდაჭერილი, პატიოსანი და ღირსეული ქცევა, თუმცა სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციების მიხედვით, მათ შორის, დამცველებს ეძლევათ გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოში გამოყენებული არგუმენტების თვალსაზრისით (იხ. *Steur v. the Netherlands*, no. 39657/98).

5.5 ,,საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმეზე №100/12).

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები მჭიდრო კავშირშია მორალური და ზნეობრივი ქცევის წესებთან, ვინაიდან ადვოკატის ამორალური და არაზნეობრივი საქციელი შესაძლებელია გახდეს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. კოლეგიალობის ვალდებულება ადვოკატს დამატებით ვალდებულებას აკისრებს მისი კოლეგების მიმართ. აღნიშნული ვალდებულების დაცვა უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიის გაძლიერებას, სტაბილურ, თანასწორ და თანამშრომლური ურთიერთობის განმტკიცებას, რაც ადვოკატების ეთიკურ ქცევებზე არის დამოკიდებული.

5.7 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ სასამართლოში მიმდინარე საქმეზე საჩივრის ავტორი, ს. კ. , იცავდა ბრალდებული პირის

ინტერესებს, ხოლო ი. კ. წარმოადგენდა დაზარალებულად ცნობილ პირებს. ს. კ.-ს განმარტებით, ი. კ.-მ მის მიმართ გამოიყენა პატივისა და ღირსების შემლახველი სიტყვები, რითიც ეჭვის ქვეშ დააყენა მისი საქმიანი რეპუტაცია და შედეგად გამოიწვია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში მის მიმართ მისი კლიენტის ნდობის დაკარგვა. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე წარმოთქმული ფრაზები არ შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხმყოფელად. ის მიზნად არ ისახავდა მისი კოლეგის პატივისა და ღირსების შელახვას.

5.8 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სასამართლო სხდომის ოქმზე და აღნიშნავს, რომ ი. კ. მართლაც იყენებს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ წინადადებებს. საპროცესო კოლეგიამ შინაარსობრივი თვალსაზრისით შეაფასა სადავო ფრაზები და მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვა „ოჰოჰოჰო“ არ ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ სტანდარტებს, ზნეობრივ და მორალურ კრიტერიუმებს. საპროცესო კოლეგია ასევე მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. კ.-ის გაჟღერებული ფრაზა - „თქვენ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის საწინააღმდეგოდ იქცევით“, წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტის დაფიქსირებას. ის არ არღვევს აზრის გამოხატვისთვის დასაშვებ საზღვარს, ვინაიდან არ არის უხამსი ან ძალადობრივი ენით გადმოცემული. შესაბამისად, სადავო ფრაზა არ არის არაეთიკური და მის გაჟღერებას არ შეეძლო კოლეგა ადვოკატის ღირსებისა და პატივის შელახვა. ასევე, აღნიშნული ფრაზა ვერ მოახდენდა პირდაპირ და უშუალო გავლენას ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობასა და მათ შორის არსებულ ნდობაზე, ვინაიდან ეთიკის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, აღნიშნულ პროცესს, სადაც ი. კ.-ის მიერ გაკეთდა სადავო განცხადებები, არ ესწრებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №119/19 ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/